



ნახ. ჯ. ლოლუასი

ვარდუა მკითხავი: თუ გინდათ, სახლი  
აუენდეს, სადმე რესტორანი ჩაატანეთ!

# უთავო თავიანი

როს სამიქაოს მთა-ბარი დასტოვეს ზამთრის გრიგალთა, საძოვრად ცხვარი ჩამოსხა აჭარელ მწყემსთა ბრიგადამ.

გაზაფხულის მზემ დაშაქრა ბალახი მსუყე, ცვრიანი, ცხვარს ალაღებდა სიმწვანე და სალამურის წკრიალი.

ანაზღად ველზე გამოჩნდა სოფლის ფეხმარდი თავკაცი და როგორც ჭექა-ქუხილი, გაისმა მისი ხმა მკაცრი:

— მე ყაჩაღობა ასეთი ჯერ არსად გამიგონია, ეს კუთხე, განა არ იცით, აბაშის რაიონია!

მე სოფლის თავმჯდომარე ვარ — ფანცულაია არჩილი, მოუსვით, თორემ ქვეყანას შევეყრი მე თქვენზე საჩივრით!..

მწყემსებმა პირი დააღეს, ჰკადრეს მასპინძელს შარიანს: — ჩვენთვის აქ მოსვლა არასდროს არავის აუკრძალია.

მეზობლებს ნამჯას გვამადლი, რა მწარე განსაგონია! ეგ თქვენი ბალახ-ბუღახი ბაჯალო ხომ არ გგონია?

— დიახ, ოქროა! იგი ხომ ცხვარს კვებავს — ცხვარი ხორცია, ცხვარი მატყლია ფაფუკი, ცხვარს ოქრო-ვერცხლი მოცვივა.

ჰოდა, თუ გნებავთ თქვენს ფარას ზედ ასკდებოდეს დუმები, თქვენ გასამრჯელო მიბოძეთ, აღარც მე დაგემდურებით...

მწყემსები ისე გაფითრდნენ, ამის აღწერაც ძნელია:

— კაცი გვეგონა, ოხერი კაცი კი არა, მგელია!

— მაინც რამდენი მოგართვათ? — გაისმა მწყემსთა ხმა ნაზი, არჩილმა ათი თითითა მყის გამოხატა „ათასი“.

ბოლოს ექვსასზე დათანხმდა ფანცულაია არჩილა. წაასწრეს... კაცი მეჭრთამე ვერავინ გადაარჩინა.

მისთვის მზემ სამიქაოში იწყო ბეჟუტვა და ბარბაცი, ხალხმა კაცუნად შერიცხა სოფლის უთავო თავკაცი.

საგვ. კორესკონდენატაზვილი

ეროვნული ზინლიონიკა



ნ.ა. ჯ. ლ. ლაშვილი

— გოლიზი, უპირობი ხომ არა გაქვთ?!  
— აირჩიე, ბიძა, რომელი ფეხსაცემლიც გინდა, ერთ კვირავი უპიროც გახდებ და უპიროც!

## ჩემი ბრალი არ არის. ლაშვილი

დღეს ხელფასი ავიღე. ცოტა ძმებიცაა შვერი და ახლა თბილისის ლამბონებით გაჩირაღდებულ ცენტრალურ ქუჩას მივყვები. მერე აქედან ჩემს ქუჩაზე ვუხვევ, რომელიც ისეა ჩაბნელებული, სუსტი გულის კაცი ცხვირსაც ვერ შეყოფს. ამ წვერამში ვინმე რომ დამხვდეს, ცოლიან უფულოდ მიხვალ?

— სიმონ! რომელი საათია?! — გული გამიხეთქა მოჩვენებასავით თმებ-გაბურძენილმა, სიგარეტგაჩრილმა არსებამ. მის უკან კიდევ ხუთი დავლანდე, გაბურძენილი, მხრებამდე ჩამოშლილი თმებით, ჭინებითა და სიგარეტებით.

ხიბები, ხულიგნები. ამთ გაძარცვეს წუხელის ვალტერა ჩემბიონ სამბისტა. მე რაღას მიზამენ! ჯერ ალბათ საათს წაართმევენ, მერე ფულს, მერე მცემენ — გამოსკდა გული. ჯანდაბას, ოღონდ გადავრჩე... თუმცა ამთ რომ გადავურჩე, ცოლს მაინც ვერ გადავურჩე. ვავიფიქრე და მივიღე ვაჟკაცური გადაწყვეტილება: კისრულით წამოვიღე სიგარეტანი თავი, ვეცი მეორეს, მესამეს... და ექვსივე ისე გავხადე, ფეხზე ველარ დგებოდნენ. მერე მოვუსვი უკანმოუხედავად და მთელი დამე მინაღორასთან ვიკვებინდი, თუ როგორ ვცემე რ შეიარაღებული ბანდიტი, რომელთაც ჩემი გაძარცვა უნდოდათ.

მეორე დღით შემთხვევის ადგილას რაიონულ კედლის გაზეთში წავიკითხე: „წუხელ ვიღაც გადარეულმა სრულიად უმიზეზოდ ცემა რ ქალიშვილი და მიიძალა. მოსახლეობას ვთხოვთ დაგვეხმაროს საშიში ბოროტმოქმედის მოძებნაში. ხულიგნის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს... რედკოლეგია“. საშინლად შემახურა წელში. ლმერთო, შენ მიშველე! რა უგავდათ იმათ ქალიშვილებს?

სვიმონ მაკაცარია

# ქალის კულტი

ნ.ბ. ლ. ერისთავისა



ქალის კულტი

- ტყუილი ყოფილა!
- რა?
- ქალს ძალი არ დაუყუფესო...
- ქალს გააჩნია!
- თუ ძალსა?
- ქალსაც და ძალსაც! ჩემი ძალი ჩემს კატას ვერ უყუფეს და ჩემს ცოლს გაუბედავს რამეს?!
- ამას წინათ სტუმრად წავედით, ძალი დავინახე და ცოლი გაუშვი წინ!
- შენს გამო შეუღერენდა!
- კინაღამ უკბინა!
- კარგი გემოვნება ჰქონია, იმ მამაძალს...
- რა გემოვნებაზე ლაპარაკობ, რომ არ ემარჯვნა ჩემს ციციუნიას. სამედიკოლოგამიანი ტორტი არ გადაეგდო მისთვის, ალბათ დაგლეჯდა!..
- მგლის ჭიშის ყოფილა, თორემ ციციუნიას დაგლეჯას რა ძალი გაუბედავდა.

აივითკო კაბარია

- რატომ დასვი საჭმლთან მზ უსაქმური?
- ამდენ ხანს კისერზე მაჯდა და ახლა ცოტას მოვისწმამ!

## ღლის განრივი

ღლის ცხრა საათზე დირექტორმა მდივანი გამოიძახა:

- ვინმემ თუ მიკითხოს, ან ზემოდან დამირეკონ, ხომ არ დაგაეწვდა, რა უნდა უთხრა?
- არა, არისტრახოვიჩ, სულ ლექსივით ვიცი.
- გამეორება ცოდნის დედა. აბა, გაიმეორე!
- ამ წუთიდან თქმეთ საათამდე ხართ სამმართველოში, თორმეტიდან სამამდე — ტრესტში, ხოლო სამიდან ღლის ბოლომდე — სამინისტროში.
- ყოჩაღ!
- თქვენებმა რომ ვკითხონ, რა ვუთხრა, არისტრახოვიჩ?
- მაგათი დარდი ნუ გაქვს, ყველა ზღვაზე მყავს ვაგზაუნილი!

ჯალვა გულუა

## დამიბრუნეთ გლანდები

მეტისმეტი სიგამხდრე რომ ლამაზი არ არის, ამაში მკითხველიც დამემოწმება. ჰოდა, გადაეწვივით, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ცოტა შეესუქებულაყავი. ნაცნობ-მეგობრებს ვეკითხებოდი რჩევას. ერთი ამხანაგის დარიგება დამიჯდა ქუაში: „გლანდების ოპერაცია გაიკეთე და გასუქდებიო“.

მართლაც, ერთი კვირის შემდეგ საოპერაციოში ვიჯექი, ხელ-ფეხი დასაკლავი ცხვარავით მქონდა შეკრული, პირი კი, — ხმელეთზე ამოგდებული თევზივით დაფეხნილი...  
ერთი თვის შემდეგ ვივრძენი, რომ ძალა მემატებოდა...  
ერთი წლის შემდეგ კი ნორმალური ტანი მქონდა. სიხარულით ვფრინავდი. ვიფიქრე: „ამაზე მეტი სიმსუქნე აღარ მინდა“-მეთქი, მაგრამ... ქონი ისე მემატებოდა, როგორც ბანკ ფული...  
ახლა დადივარ და ქვეყანას ვოხვო: გევედრებით, დამიბრუნეთ ჩემი გლანდები!

ეთერი დანელიშვილი

## კაცია და გუნება!

მე დაფიქრება მერჩია უშნო, უაზრო სიცილს, უცოდინრობა მერჩია იმ ცოდნას შენ რომ იცი.

უმეგობრობა მერჩია ათას მეგობარს შენსას, უწყლოდ დახრჩობა მერჩია წყაროს, რომელსაც შენ სვამ.

სამფეხა სკამი მერჩია სხვის მხრებზე ჯდომას რბილად,

უკუნი ღამე მერჩია შენის მზით ნათელ დილას.

უსახლკარობა მერჩია სახლს, სხვისი ოფლით ნაგებს უსიმღერობა მერჩია მაგ აბლაუბდა ჰანგებს.

მე უფულობა მერჩია ურცხვად აღებულ ქრთამებს, სულ უქალობა მერჩია მიხატ-მოხატულ ქალებს...

ხელსახოცივით გაწურავ, ვინც კი მოგვდება ხელში, შენი სახელი, კაცუნავ, არის ცოცხალი ლეში!

გიორგი ვიგაური

## აქლემი და უნაბირი

ზოგან ისეთ ფირნიშს ან წარწერას ნახავთ, რომელიც ისე უხდება ადგილს, როგორც აქლემს უნაბირი. მართალია ასეთ წარწერებს დანიშნულების მიხედვით დიდი სარგებლობა არ მოაქვთ, მაგრამ ჩვენი პროფილის — სიცილის თვალსაზრისით ისინი დიდ სახალხო საქმეს აკეთებენ. აი, მაგალითად, რის გუნებაზე დადგებოდით, რომ გენახათ:

კულტურისა და დასვენების პარკში — „უსაქმოდ ნუ დგესართ“.

ტუალეტში — „უცხო პირთათვის შესვლა სასტიკად აკრძალულია“.

ციხეში — „უსაქმოდ ნუ ზიხართ“.

მალაზია „გოლიათში“ — „ყველაფერი ბავშვებისთვის“.

სახინკლეში — „დაუკაუნებლად შესვლა აკრძალულია“.

თამბაქოს სპეციალიზებულ მალაზიაში — „თამბაქოს ნუ მოსწევთ!“

სტადიონზე — „დაიცავით სიჩუმე“.

აბანოში — „დაიბანეთ ხელები ჭამის წინ“

უდაბნოში — „გაზონებზე ნუ ივლით“.

რესტორანში — „უმიზეზოთ არ იჩხუბოთ“.


ალექსანდრე ვინგორინი

ნ.ბ. თ. მირზაშვილისა



— კი მაგრამ, ვაჭრობაში რომ აპირებთ მუშაობას, გამოსდილდება გაქვთ?!

— როგორ არა, ბატონო, ოცი ფელია, კედაგობად ვმუშაობ. ხან აპონემენტებს ვასაღებ, ხან — თეატრის ბილეთებს!



ნახ. ვ. ლოლოუსი

— მამაჩემო! ნახე, რამდენი ბავშვს არა უნდა ღვინო და ღვინო!

**მამაჩემო** რომ ტრესტის მმართველად დანიშნეს, დედაჩემი სიხარულით ცას ეწია...

მეორე დღით ჩვენს ქიშკართან ახალთახალი შავი „ვოლგა“ მოსრიალდა. მამაჩემმა დედაჩემს თვალი ჩაუკრა და კიბეზე, თანამდებობის შესაფერისი ნაბიჯით, წარწარად დაეშვა.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენმა მძღოლმა კუკურამ (ხუთი წელიწადია ჩვენთან მუშაობს, მაგრამ მისი გვარი არ ვიცით); ზეპირად იცოდა, ვისთან იკერავდა დედაჩემი კაბებს, ვისთან იხვევდა თმას, როდის მიდიოდა „პრიმერკაზე“, როდის თავდებოდა ოჯახში ბორჯომის წყალი.

კუკურა ერთი უთქმელი ბიჭია, მორჩილად ასრულებს ჩვენი ოჯახის ყველა წევრის დავალებას.

ჯაკვეთილების დამთავრების შემდეგ სკოლის კარებთან მზვდება, საღამოს საცურაო აუზში მივყავარ, იქიდან — ინგლისური ენის მასწავლებელთან.

— ხვალ დღით ჩემს ცოლის ძმასთან მიხვალ, მისი სიდდერის მძახლის დასაფლავება და გასვენებაში წაიყვან! — უბარებს მამა კუკურას...

— ჩემი ბიძაშვილის კარის მეზობელმა მთხოვა მანქანა, ცოლ-შვილი მიჰყავს დასასვენებლად, აბა, შენ იცი! — იძლევა დავალებას დედა.

— ღამის სამ საათზე მცხეთის სადგურში დახვდები მატარებელს, მეცამეტე ვაგონიდან გადმოიხედავს მალალი, ნაყვავილარი, ქუდიანი კაცი, მოძებნი და... ა. შ.

ერთხელ სოფლიდან შორეული ნაფესავე გვესტუმრა და დედამ მარჩიელთან ჩვენი მანქანით გაისტუმრა.

მანქანის საბურავების ცვეთის

პროპორციულად იზრდებოდა ჩვენი ოჯახის ავტორიტეტი.

კუკურას ხან პური მოაქვს, ხან ბაზართან ღვას და მანქანაში თვალმილულული ელოდება დედაჩემს, ზოგჯერ ჩვენი მონადირე ძაღლის გასეირნებასაც ასწრებს.

კუკურა ჩვენი ოჯახის ცხოვრებით ცხოვრობს. დიდხანს მეგონა, რომ იგი ობოლი და გაწყვეტილია, ჩვენს მეტი არაფერი ჰყავს, გუშინ შემთხვევით გავიგე: თურმე კუკურას დედაც ჰყოლია, მამაც, ცოლიც და შვილებიც. ძალიან გამეხარდა და, სკოლიდან რომ მოვყავარ, მივუთხრე.

ნეტავ მამაშენიც გაიგებდე მაგ ამბავსო, ნაღვლიანად მიტხრა.

ლილი ნუტუბიძე

### ღეესიკონი

- **ქურნალისტი** — მწერალი, რომელსაც იმის დროც კი არა აქვს, რომ მწერალთა კავშირის წევრი გახდეს.
- **სიმშრანი** — ბევრს რომ არ ესმის და ყველა რომ ამბობს, მესმისო.
- **ქმლმხი** — მიცვალებულის პატივსაცემად გამართულ სუფრაზე წარმოთქმული ისეთი თბილი სიტყვები, რომლებიც მიცვალებულს სიცოცხლეში რომ გაეგონა, შეიძლება არც მომკვდარიყო.
- **შესვენება** (და აწესებულებაში) — საუზმისთვის განკუთვნილი დრო, რომლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია საუზმის ხარისხზე და მერყეობს ნახევარი საათიდან ნახევარ დღემდე.
- **ღიპლომი** — საბუთი, რომელიც იძლევა სტუდენტს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ და რითაც დასტურდება, რომ პროფესორსა და სტუდენტს შორის მრავალწლიანი ომი და მთავრებულია.

გიგლა ბახტაძე

## ყველის ვაჭარი

— რა ყველნაჭამი ვაჭარივით იღრიჭები, არტემ? — შეეხმინა ვიღაცა ბოგდანოვკელ კოლმეურნეს **არტემ ვართანის ძე ჩაპანანს**, რომელიც რაღაც საქონლით საგსე ტომრების წინ იდგა და გულთანად იცინოდა.

— ყველნაჭამი ვაჭარივით იცინო, რომ მეუბნები, შე კაცო, ყველი რა, ხელწამოსაკრავი საქონელია? ახლა ყველაზე წყალწყალი ყველსაც ცეცხლი უკიდია ბაზარში. მე კი ავერ ერთი ტონა ყველი მიმაქვს თბილისში გასაყიდად... შენ იცინე! იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის!

— კი გაქვს სასაცილო, არტემ, მაგრამ, შენ ეს მიტხარი, საიდან ამდენი ყველი?

— მოგეხსენებათ, ახლა გახუ-

რებული ხენა-თესვა მიმდინარეობს კოლმეურნეობებში. გლეხებს არ სცალიათ ქალაქში წასასვლელად. ჰოდა, მთლიანად შევისყიდე, რაც ჩვენს სოფელში ყველი იყო. ჩავიტან თბილისში და... ეგ არის მანქანას ვერ ვშოულობდროზე. ლოდინი კი ჭირივით მეჩავრება, — თქვა ჩაპანანმა და ერთხელ კიდევ აუწია ხელი გზატკეცილზე მიმავალ ავტომანქანას — საით ინებებთ?

— თბილისის საკოლმეურნეო ბაზრისაკენ!

„ავტომძღოლმა“ კი ქორვაჭარი სულ სხვა მიმართულებით გააქროლა თავისი ტომრებიანად.

ვასილ ხმალაძე



ნახ. ვ. ფორანაძისა

— რას მხრნი, ქალკო გოლოს ხომ მიხვალხომ, რომ ეს სინდისბარბანტიანი ტომრებიანი თმობილი ბაშორივინის!

რობოტ-კიბერნეტიკოსთა სამეცნიერო არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელიც ივლევდა რამდენიმე საუკუნის წინათ არსებულ რობოტთა ცხოვრებას, უკვე, მიწის სიღრმეში, რაღაც არაჩვეულებრივ ხელფხიან საგანს წააწყდა.

— რას იტყვით თქვენ, რობოტ ტიგოლიტო? — შეეკითხნენ დაპროგრამირებული ქურნალისტები ღურალუშინის მეტალთა ხარისხის კანდიდატს — ტიგოლიტო ტიგოს.

— რობოტები! — დაიყვირა ტიგოლიტომ, — ჩვენ ვიპოვეთ ადამიანის ნეშტი!

— როგორ? — გაოცდნენ რობოტები.

— დიას, ეს ასეა, რობოტებო, და ნურაფერი გაგიკვირდებათ! ჩვენს რკინეულობაში აქამდეც არსებობდა ექვი ადამიანის არსებობის შესახებ. ჯერ კიდევ აწ უტილს ჩაბარებული რკინისორ თუთია თუჯმა წამოაყენა ჰიპოთეზა ადამიანის არსებობის შესახებ...

სარემონტო დახმარების სადგურიდან მოსულმა საექსპერტო კომისიამ გვამი გაჰკვეთა და ტიგოლიტო ტიგომ გულმკერდის არეში დაანახირობული ქსოვილები შენიშნა.

— აი, შეხედეთ! — გაუბრწყინდა ზვალეები ტიგოლიტოს, — თუთია

### რას იტყვით თქვენ, რობოტო!

თუჯის ჰიპოთეზა აქაც გამართლდა: ადამიანს ნამდვილად გააჩნდა ფილტვები.

— ფილტვები რა ჯანდაბა იყო? — იკითხა ერთმა კოპწია, უარყოფითი ნიშნებით დამუხტულმა რობოტმა და უქანგავი ფოლადის მოკლე კაბა კეკლუცად გაისწორა.

— ეს იყო ადამიანის კორპუსში მოთავსებული დიდი ყუთი, — ახსნა ტიგოლიტომ, — მასში ჩაყრიდნენ ჯანგბადს და ამოყრიდნენ ნახშირორქანს.

— ვაა! — პირი დააღუს რობოტებმა.

— კი მაგრამ, სად შოულობდნენ ჯანგბადს? — გაუკვირდა ნახშირბადის ნივთიერებათა კანდიდატ კულამ კულამს.

— მაშინ დედამიწაზე მხოლოდ ჯანგბადი იყო...

— რა საზიზღრობაა! — გული აერია მასუთის კოესკთან რიგში მდგარ ბიღონებთან რობოტს, — კიდევ კარგი, მაშინ არ ცეცხობოდით, თორემ კოროზა შეგეკვამდა.

— რობოტო ტიგოლიტო! ვერ გვეტყვიდით, სად გაქრა... აი ის... რას ეძახით, დიას, ჟანგბადი? — იკითხა ერთმა ქურნალისტმა და კოპწია, უარყოფითი ნიშნებით დამუხტულ რობოტს ურცხვად ჩაჭვრიტა ფართოდეკოლტიანი პლატინის გულისპირში.

— აი, სწორედ აქაა დამარხული ჭანჭიკის თავი, — თქვა ტიგოლიტომ, — ძველ ადამიანებს, როგორც საწამლავი, ისე ეჯავრებოდათ ნახშირორქანგი. მაშინ, — პათეტიკურად აუწია ხმას ტიგოლიტომ, — საკამლე მიღებს ჰაერსაწმენდ დაზავარებს უკეთებდნენ.


— შეხედე შენ?!

— ხოლო ჩვენს წინაპრებს, მანქანებს, სასტიკად უკრძალავდნენ ნახშირორქანგის გამოყენებას. და, გოონი, ამის გულისთვის, ტალონებსაც უხვრეტდნენ... ერთი სიტყვით, — განაგრძობ ტიგოლიტომ, — მათ ყველა საშუალება ისმარეს, რომ ნახშირორქანგი არ გავრცელებულიყო, მხოლოდ ერთი რამ ვერ გაითვალისწინეს.

— კერძოდ?

— პირზე ჰაერსაწმენდი დანადგარების მოწყობა იმ კვამლის გასაფილტრად, რასაც გამოყოფდნენ სივარტების მოწვევისას.

რამულ ბაბუნაშვილი



— ვივის საათეფი ვიკითა მომდინან თავის დღეფა მართლა ვიკითგა!

**მსოფიანი** მეხანძრე კირილე კვალაძე ჰენსოზე-გაფე ცილეთ. ჩვენთან ტრადიცია, ყოველწარ გაცილებას პურ-მარლი უნდა მოჰყვეს. არც კირილეს დაჟინეფეკას ტრადიცია: მეფის შესაშური სუფრა გამალა.

თამადად, რა თქმა უნდა, (ესეც ტრადიცია) კომბინატის დირექტორი შუქურ შუქუროვიჩი დანიშნეს. შუქურ შუქუროვიჩმა, უპირველეს ყოვლისა, კირილე აღდევრ-ძელა და ალავერდს მთავარ ბულალტერთან გადავიდა. მთავარმა ბულალტერმა სიამოვნებით მიიღო ალავერდი. იგი გაბადრული სახით წამოდგა და საზეიმო ხმით დაიწყო:

— მეგობრებო! პატივცემულო შუქურ შუქუროვიჩი! თქვენ შესანიშნავად დაახასიათეთ ჩვენი კირილე. თქვენ, საერთოდ, გჩვევიათ თანამშრომლებისადმი ყურადღება და მათი დაფასება, რაც მეტად სასიამოვნოა. იმ დღიდან, რაც თქვენ ჩვენი კომბინატის დირექტორად დანიშნეს, მთელი გულწრფელობით უნდა ითქვას, რომ ყველამ, დიდამც და პატარამაც, შვებით ამოვისუნთქეთ. რა დასამალია, თქვენ რაღაც ახალი, რაღაც ადამიანური სიტბო მოიტანეთ და ყველას, დიდსაც და პატარასაც, თანაბრად გაუნაწილეთ. თქვენ შესანიშნავი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ბრძანდებით. არ მინდა ციფრები მოვიშველიო თქვენი ესოდენ დიდი ღვაწლის საბუთად, ისედაც ყველამ ვიცით, რომ მხოლოდ თქვენი მობრძანების შემდეგ გავიგეთ პრემიის აზრიც და გემოც. თქვენ, ტიტანურ შრომასთან ერთად, მოლხენაც გიყვართ, ჩვენზე ფიქრებში გათეთრებულო, გემრიელო ადამიანო, და სწორედ ამიტომაც მთელი კოლექტივის სახელით მადლობას მოგახსენებთ. ჩვენ, დიდიც და პატარაც, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ თქვენს მიერ დასახული ამოცანები პირნათლად და გადაჭარბებით შევასრულოთ. გაუმარჯოს, მეგობრებო, ჩვენს კირილე კვალაძესაც!

ზოთა მარმარაზვილი

**მ ი ზ ე ზ ი**

ქურდსა და უსაქმურ, ავცია წრუწუნას აქებდა ყოველდღე ვირთაგვა... და ისიც, უფროსის ფარვით და წყალობით, არავის არაფერს ჰკითხავდა.

ყოველდღე უფროსის ჯანსა და სიცოცხლეს შესთხოვდა მხურვალედ განგებას. საკუთარ ოჯახში გაზიდა უკლებლივ, რაც ჰქონდა „ტყემომარაგებას“.

გამწარდნენ, გაწამდნენ იმ ტყეში მცხოვრებნი, მოაკლდათ ოჯახში საკმელი: „ჩვენ ფეტვი არა გვაქვს, მაგან კი ხორბალით გაავსო ბელელი, საბძელი!“


უფროსს კი ისევე აპყავდა ზეცამდე, სულ ცეცხლებს აფრქვევდა ჩივილზე... და ვერც გაამტყუნებთ, წრუწუნას წყალობით, ოჯახში არ აკლდა ჩიტის რძე!

ვალერიან გამუჰაელაზვილი

- **საზინაო** სამმართველოს უფროსმა „ჩვენი ეზო“ ნახა, ააწყობის გამგემ კი — „რევიზორი“.
- **ლოთი** ნაღვლობდა: გიჟი ქორწილში შეაგდეს, მე კი — საგიეთშიო.
- **ზარმაცს** ჰკითხეს: რა საქმიანობას ეწევიო და... შესაფერ სამსახურს ვეძებო.
- **საწმობის** გამგის ცოლი მოღებების ატელიეს ხშირი სტუმარი იყო, გამგე კი — პროკურატურისა.


ჯანი სინარულიძე

ნაქვესები



— თუ ქვა ხარ, მითხარით, ერთი თვე ასე დაჩოქილი რომ გყავთ ეს ქალი, რას იღებთ, ტრამედიას თუ კომედიას?  
— ჯერ არ ვიცით, ვნახეთ რა გამოვა!

ნ.ბ. ლ. პარიტატი



— ვინმე თუ მიკითხვს, უთხარი, სამინისტროში წავიდა-თქო. — სამინისტროდან რომ გიკითხონ?


წიწილას დააცხრა თავს ქორი ფრთამაღლი, მაგრამ წინ აღუდგა მრისხანედ მამალი. შეშფოთდა ის ქორი ასეთი შედეგით, მაგრამ არ დაიბნა და ჰკადრა შემდეგი: „მამალო, ოჯახის ერთგულ მამაო, შენ მტრულად დახვედრას კისრულობ ამაოდ! ვფიცავ ჩემს ნაბუსს და შენს თავსაც ვფიცავო, გმირი ხარ ნამდვილი, რომ მოღმას იცავო! მაგრამ ეს მაკვირვებს, რად იღებ თავსაო, რად მეტრძევი, შენ ჩემში რას ხედავ ავსაო? მე მიტომ ვიკისრე აქეთკენ ფრენაო, მინდა, რომ ნათლიად გაგისდეთ თქვენაო!“ მამალი უსმენდა მას ნისკარტაწვდილი, იმისი შეცდენა არ იყო ადვილი. უსმინა მან ერთხანს, ყბებოდა აცალა, შემდეგ კი პასუსი მკვებედ მიახალა: „შენ ჩვენი წიწილი ბევრი გიჭამია და გიცნობთ, რომ წუწუკი ქორი ხარ, ძამია! გაგეშორდი, სჯობს, თორემ, თუ იხმარ ძალასო, გახვერუტისლს გაგატან მაგ თავის ქალასო!“ რა ესმა ქორს ესე სიტყვები მრისხანე, გაშალა ფრთები და დასტოვა ის მხარე. გაფრინდა, თუმცა რა, ასეთ გაკვეთილით, ფიქრობთ, რომ შეიქმნა ის ფორმბოკვეთილი? თუმც აქ კი გაწვილდა, ვერ ირგო ნაყოფი, იქა სცდის, სადაც რომ სიფხიზლე არ ჰყოფნით!

შემთხვევა ასეთი რომ კვლავაც არ მოხდეს, ქათმებმა იფხიზლონ, ეს უნდა ახსოვდეთ: ნისკარტი იღესონ, ცას ხშირად გახედონ, ქორებმა თავდასხმა რომ ვეღარ გახედონ!

გვირგვინი ცინცაქი

ტ. ვანელი.

ნ.ბ. ლ. ზარაფიზვილინა



— ამ კაცს, ნეტა, საქმეც ისე ჰქონდეს დაყენებული, როგორც ხმა კაცს!

ნ.ბ. ა. კანდელაკი  
— ამხელა დაქმნებულეებში მართო მს კაცი მუშაობს? — დანარჩენები დისკრტიციმზე მუშაობენ!



მინიატურები

ღრო და წყალი

იცოდე ინანებ!

— როგორც მახსოვს, ეს ნაწარმოები ადრეც მოიტანეთ.  
— მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.  
— და მაინც ბევრი დარჩენილა.

ჩაფყობი

— ეს კაცი პირდაპირ ჩამწყობად არის დაბადებული, ნამდვილი ოსტატია, ახლა დამსახურების წოდება მიანიჭეს!  
— ალბათ, იქაც ჩააწყობ!

ჟანგბადის პრობლემა

ერთი კაცი ანგარიშობდა: — კარის მეზობელი ჩემზე მეტს რომ ჭამს, გასაგებია: ჩემზე მეტს შრომობს, ფულსაც მეტს შოულობს და მეტსაც ჭამს. მაგრამ რა უფლებით ხარჯავს ჟანგბადს ჩემზე მეტს? ჯერ ერთი, ორი ჩემზეა. სამსახურში იმხელაზე ამოქნარებს ხოლმე, ალბათ, ჟანგბადის ორმაგ ულუფას მაინც ყლაპავს. ეკუთვნის ამდენი ჟანგბადი?

აკოლონ ბასილია

— თანახმა ხარ, თუ არა?  
— ვერა, ვერ გამოგყვები, დედაჩემია წიწაღმდევი!  
— იქნებ, დაიყოლიო როგორმე?  
— სასტიკ უარზე!  
— შენი ნება! მეორედ აღარ მოეწყობა ასეთი საინტერესო ექსკურსია!

ვანო ცინცაქი

კაღლი შინ არ ვარბოლაო...

— რა ქმარი გყავთ, რა ქმარი!  
— მე?  
— ო, ღვთისნერი კაცია თქვენი ამბაკო!  
— ისე ის მოუკვდა მის შვილებს!  
— რა კეთილშობილია, როგორ უყვარს, როგორ ეფერება ქუჩაში პატარებს...  
— გააჩნია, როგორი დედა ჰყავთ იმ პატარებს.

გივიკო პატარიძე

ნ.ბ. მამია მალაფონიანი




ამ კრების შემოქმედება ცარიელი სევა და რომანტიზმია. — მაგას რომანტიზმი კი არა, რევატიზმი აქუხებს.



ნახ. ზ. ზორაჩიძისა

სასებოში, სადაც იაპონიის ფლოტის დიდი სამხედრო ბაზაა განლაგებული, სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსმა ვიცე-ადმირალმა კიტამურამ ჟურნალისტებთან გამართულ პრესკონფერენციაზე ვერ დამალა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ატომური წყალქვეშა ნავების იარაღების სურვილი, რომელიც საბოლოო ანგარიშით ასევე ვერ მალავს მთავრობის სწორედ ხელბო პოლიტიკასაც.



ზუზი არც ხალთაში დაიბალება, არც... წყალში!



აიპაროს ისე არ დაკეძულა დოლარის კურსი, როგორც ახლა, რაც მეტყველებს კაპიტალისტური სამყაროს წამყვანი ვალუტისა და საერთოდ კაპიტალის კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებაზე.

— რა მოხდა?  
— კურსი დაშვარბეთ, სარ!